

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რომან ტაბატაძის წერეთლის
ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

24.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -რომან ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი.

სხდომას ესწრებოდა - წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: წერეთლის, ნორგიულის, საიმერლოს, დიდი ბეგლიარის და პატარა ბეგლიარის მოსახლეობას, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ელმან ჰასანოვი, საქართველოს პარლამენტის წევრის, მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტი არჩილ მდივნიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების სპეციალისტი შერმადინ ბოჭოიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის რომან ტაბატაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა რომან ტაბატაძემ წერეთლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (წერეთელი, საიმერლო, ნორგიული, დიდი და პატარა ბეგლიარი) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო წერეთლის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ წერეთელში განხორციელდა გასართობ-შემეცნებითი პარკის მოწყობა, მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა, ავტობუსების მოსაცდელის მოწყობა, რიტუალების სახლის ტერიტორიაზე განხორციელდა სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები. სოფელ ნორგიულში სკოლის ეზო შემოიღობა. სოფელ საიმერლოში საბავშვო ბაღის მშენებლობა განხორციელდა, მოეწყო მინი სტადიონი, ჩატარდა სარწყავი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე სარიტუალო სახლის კეთილმოწყობა შესრულდა, შეიცვალა საიმერლოს საჯარო სკოლის კარ-ფანჯრები. სოფელ დიდ ბეგლიარში განხორციელდა გზის მოხრეშვის სამუშაოები. სოფელ პატარა ბეგლიარში აშენდა ინვენტარის შესანახი ოთახი.

აზრი გამოთქვას: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელს. ჩამოთვლილი პრობლემებიდან წერეთელში ყველაზე აქტუალურია სარწყავი არხების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა მოსწავლეებისთვის, მინი სტადიონის მშენებლობა.

სოფელი ნორგიულის მოსახლეობამ პრიორიტეტულ პრობლემად ტრამპლინის არქონა დაასახელა, მინი სტადიონი და ასევე ავტობუსის გაჩერებების მოსაცდელით აღჭურვა.

სოფელი საიმერლოს მოსახლეობამ აქტუალურ პრობლემად ავტობუსების მოსაცდელისა და სკვერის მოწყობა დაასახელა, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ადაპტირებული სამარშუტო გრაფიკი და დამატებითი სატრანსპორტო საშუალება იქნა მოთხოვნილი, ერთ-ერთ პრობლემად ამბულატორიის არქონა დასახელდა.

სოფელი ბეგლიარის მოსახლეობის მოთხოვნა ნაგვის ურნებით სოფლის აღჭურვა და ტრანსპორტის გამოყოფა დასახელდა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის რომან ტაბატაძის ანგარიში გაწეული მუშაობის ანგარიში